განმცხადებელი : ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი - საქართველო; დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი: ეკატერინე ციმაკურიძე, მაია ბაქრაძე, თამარ ლალიაშვილი, ნათია ქუთათელაძე, ბესო ლოლაძე, ბესიკ სისვაძე
თარიღი : 17-12-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: **:** პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **:** მარიამ ოშხნელი

სადავო მასალა **:** ტელეკომპანია იმედის 2021 წლის 21 ნოემბრის გადაცემაში „იმედის კვირა“ გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით „მოსამართლეთა პროტესტის ანატომია“ https://www.imedi.ge/ge/video/84994/imedis-kvira--21-noemberi-2021-tseli#!?from=1637452800&page=1&to=1638057600&type=1 0:54:25 წუთიდან.

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება **:**

სიუჟეტი შეეხება შემთხვევას, როცა 2021 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი წევრის არჩევის გამო სასამართლო სისტემამ ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. ელჩების კრიტიკის საპასუხოდ განცხადება გამოაქვეყნა მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა. თავის მხრივ, ადმინისტრაციული კომიტეტის განცხადებას 23 მოსამართლე ფეისბუქ სტატუსით ან კომენტარით გამოეხმაურა და მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისგან განსახვავებული მოსაზრება გამოხატა. სიუჟეტის გაცხადებული მიზანია მაყურებელს შეატყობინოს, რომ 23 მოსამართლის განსხვავებული აზრის არსებობა არ წარმოადგენს ამ მოსამართლეების თავისუფალ აზრს, რომელიც სასამართლოს კლანური მმართველობისგან განსხვავებულია, არამედ გამოწვეულია ამ 23 მოსამართლის აფილაციებით ნაციონალური მოძრაობის პარტიასთან და წარმოადგენს ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირების მქონე მოსამართლეების და ოპოზიციური მედიასაშუალებების ერთობლივ კამპანიას სასამართლოს დისკრედიტაციისთვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჟურნალისტების მიერ მოყვანილი ფაქტები და ინფორმაცია არის ცალმხრივი, განზრახ არაზუსტი, არასრულყოფილი და დაუბალანსებელი, სიუჟეტი მომზადებულია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის რამდენიმე პრინციპის დარღვევით. კერძოდ: პირველი ეპიზოდი პირველი პრინციპის დარღვევა გადაცემის კონკრეტულ მონაკვეთში (დრო 56:15) ჟურნალისტი ამბობს, რომ 2021 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებული საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 წევრის არჩევის პროცესი ამერიკისა და ევროკავშირის ელჩებმა გააკრიტიკეს, იმის გამო, რომ წევრების არჩევა ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის მეორე დღეს დაემთხვა, რის გამოც არ იყო კონკურენტული და გამჭირვალე. ჟურნალისტმა ამ ნაწილში დაარღვია სიზუსტის პრინციპი, მიჩქმალა ელჩების განცხადების მნიშვნელოვანი ნაწილი, არ თქვა, რომ ელჩები საუბრობდნენ კიდევ მრავალ პრობლემაზე მათ შორის დღის წესრიგის გამოქვეყნების მცირე დროზე, საბჭოს ორი წევრის მიერ თანამდებობის მოულოდნელად გაურკვეველ ვითარებაში დატოვებაზე, იმაზე რომ არ მომხდარა დანიშვნებამდე კანდიდატების წინასწარ გამოცხადება, თითოეულ ვაკანსიაზე წარდგენილი იყო მხოლოდ 1 კანდიდატი, არ იყო ფართო საზოგადოების ჩართულობა და წინასწარი კონსულტაციების შესაძლებლობა ამ პროცესში. ელჩები წერდნენ, რომ ეს ფაქტი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაცხადებულ მიზნებს სასამართლო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით, რაც იმედის სიუჟეტში არ მოხვდა (იხ. ევროკავშირის ელჩის

კარლ ჰარცელის განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი წევრის დანიშვნასთან დაკავშირებით, 2/11/2021 https://bit.ly/3stnqTx და აშშ საელჩო საქართველოში, განცხადება მოსამართლეთა კონფერენციის შესახებ, 2/11/2021 https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-conference-of-judges-2-ka/ განცხადებები ასევე იხილეთ თანდართული სახით). ჟურნალისტმა ყველა ამ მნიშვნელოვანი არგუმენტის არ გაჟღერებით შექმნა არასრული სურათი, დაინტერესებულ მაყურებელს არ მიაწოდა მრავალ წყაროზე დაყრდნობილი ინფორმაცია, აუდიტორიას პატიოსნად არ მიაწოდა ელჩების მთავარი გზავნილები და მიკერძოებულად, სასამართლო ხელისუფლების მმართველი ჯგუფისთვის (მოსამართლეთა კლანი) სასარგებლო გაშუქებით, არ სცა პატივი საზოგადოებას და დაარღვია პირველი პრინციპი. ამით ჟურნალისტმა წაახალისა მოსამართლეთა სტიგმატიზება სასამართლო კორპუსის თუ სასამართლო ხელისუფლების მმართველი რგოლის შეხედულებებისგან განსხვავებული აზრის გამოთქმის გამო, რასაც უარყოფითი მსუსხავი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს სასამართლო სისტემაში აზრთა პლურალიზმის და მოსამართლის ინდივიდუალიზმისთვის. როცა საქმე გვაქვს ვრცელ, ანალიტიკურ სიუჟეტთან, მიზანი უნდა იყოს სხვადასხვა პოზიციების წარმოჩენა, საიდანაც მაყურებელს უნდა ჩამოუყალიბდეს პოზიცია ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ჟურნალისტმა კი გზავნილები შეარჩია მიკერძოებულად და სცადა სურათის შექმნა, რომ არანაირი სასამართლო კლანი არ არსებობს და პირიქით ოპოზიციური პარტიისგან მართული კლანი ებრძვის სასამართლოს. მე-11 პრინციპის დარღვევა ამავე ეპიზოდში, მეორე მხრივ, დარღვეულია ქარტიის მე-11 პრინციპი, საელჩოების განცხადების შინაარსის გადმოცემის ნაწილში. კერძოდ, ჟურნალისტის მხრიდან ადგილი ჰქონდა ზემოთ მოყვანილი ფაქტების ფაქტების განზრახ დამახინჯებას, მიჩქმალვას. ჟურნალისტს ხელთ ჰქონდა ელჩების განცხადებების სრული ტექსტი, თუმცა მხოლოდ გარკვეული ფრაგმენტი მიაწოდა საზოგადოებას, ეს ფრაგმენტები განზრახ შეარჩია მიკერძოებულად და ამის მოტივაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ არხის აშკარა დადებითად მიკერძოება მოსამართლეთა კლანის სასარგებლოდ. მეორე ეპიზოდი პირველი პრინციპის დარღვევა სიუჟეტის მეორე ნაწილში ჟურნალისტი ავითარებს აზრს, ამტკიცებს, რომ 23 მოსამართლის პროტესტის უკან ნაციონალური მოძრაობა დგას. ამას აკეთებს, როგორც საკუთარი ტექსტებით ასევე, რესპოდენტების სინქრონებით, ისე, რომ არც ერთ შემთხვევაში არ ჩანს, რომ გამოთქმული ბრალდებების გადამოწმება, ან ფაქტებით გამყარება სცადა. ჟურნალისტის ტექსტი: (დრო 57:35) "ზურაბ ქადაქიძეს ვკითხეთ რატომ ფიქრობს, რომ 23 მოსამართლის ეს პოზიცია ნაციონალური მოძრაობის დღის წესრიგითაა ნაკარნახევი. " ზურაბ ქადაგიძის მიერ გაჟღერებული ბრალდებები: (დრო: 58:00) "თითქმის ყველას თუ ნათესავი არა, მეორე ნახევარი, ან ძალიან ახლობელი ადამიანი აღმოჩნდება ხოლმე რადიკალური ოპოზიციის არა უბრალო წარმომადგენელი კორიფე, დამგეგმავი აქტიური მონაწილე ამ ყველაფერში. ასეთი გახლავთ ქალბატონი ქეთევანის მეუღლე ბატონი დავითი"... (დრო 59:10) "მაგალითად ბადრიაშვილი, რომელიც ყოფილი პროკურორია და ფიგურირებს რობაქიძის საქმეში და გირგვლიანის საქმეში." (დრო 59:20) "ნიკოლაიშვილი, ეს ქალბატონი იქამდე მივიდა, რომ პოლიტიკური ნიშნით სააკაშვილის დაკავებაზეც კი გააკეთა მინიშნებები, ამ დონეზე მივიდა." ამ ფრაგმენტებს მოსდევს 3 რესპოდენტის კომენტარი, ორი დეპუტატის ქართული ოცნებიდან და ერთი ადვოკატის. ჟურნალისტის ტექსტი (დრო 1:04:00) "2012 წლიდან სასამართლო დარბაზებში პოლიტიკა ნელ-ნელა ჩანაცვლდა შეჯიბრებითობით" ამბობს ჟურნალისტი, სიუჟეტში არ ჩანს რას, რომელ წყაროს, კვლევას, ანგარიშს ეყრდნობა ჟურნალისტი მსგავსი განცხადების გაკეთებისას. ჟურნალისტის ტექსტები, რესპოდენტების სინქრონები ისეა შერჩეული, დალაგებული, რომ მაყურებელს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს 23 მოსამართლის დიდი ნაწილი დაკავშირებულია ნაციონალურ მოძრაობასთან და ამიტომ აკრიტიკებენ სასამართლოს მმართველ გუნდს. არადა სიუჟეტში მხოლოდ 3 მოსამართლეზეა გარკვეული ბრალდებები გამოთქმული, თუმცა ის ბრალდებებიც ქარტიის სტანდარტს (ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაციის ტესტს) ვერ აკმაყოფილებს. ქარტიის განხილული საქმეების პრაქტიკით ჟურნალისტი პასუხს აგებს როგორც საკუთარი ტექსტების, ასევე რესპოდენტების კომენტარების სიზუსტეზე, სიზუსტედ ქარტიისავე განმარტებით მიიჩნევა სულ მცირე ორ ურთიერთ დაუკავშირებელ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია. შესაძლოა ინფორმაციის სიზუსტისადმი არ ვრცელდებოდეს მათემათიკური სიზუსტის მოთხოვნა, თუმცა

აუცილებელია ჩანდეს ჟურნალისტის პატიოსნება, რაც ქარტიისვე სტანდარტით გამოიხატება იმაში, თუ რა ღონეს, რა გზებს მიმართა ჟურნალისტმა ინფორმაციის გადამოწმებისას. აღნიშნულ სიუჟეტში ეს მცდელობები არ ჩანს. ის აწყობილია მხოლოდ ერთი მხარის, ერთ აზრზე მყოფი ადამიანების მოსაზრებებით, გაჟღერებული ფაქტების გადამოწმების მცდელობა არ არის და ამ ყველაფრის ერთობლიობა წარმოადგენს აუდიტორიის უპატივცემულობას, სიზუსტის უგულვებელყოფას და პირველი პრინციპის ცალსახა დარღვევას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ იმედის ჟურნალისტმა მარიამ ოშხნელმა დაარღვია ქარტიის პირველი და მე-11 პრინციპი (პირველ ეპიზოდში) და პირველი პრინციპი მეორე ეპიზოდში.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები